ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4946771

ნომერი: AR1746388

თარიღი : 04.05.2020

გაცემის თარიღი : 06.05.2020

გაცნობის თარიღი : 11.05.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა, N 54;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გორგილაძე პ/ნ 61001053089
- ბათუმი ვ.კანდელაკის ქ. N 12

ნომენკლატურა :

- სავაჭრო ცენტრი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სავაჭრო ცენტრი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ იაგორაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "გოი-16"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405181146

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არტანუჯ ინვენსტ ჯგუფი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 445492574
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დირექტორი დავით გორგილაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61001053089

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3947091
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.04.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

№AR1746388 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისშესახებ.

04/05/2018 წლის № 3947091 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, მიწის ნაკვეთის მესაკუთრესა და სს "გრინვეი საქართველოს" შორის 24/08/2018 წელს დადებული აღნაგობის ხელშეკრულების საფუძველზე, სამსახურის 10/12/2019 წლის №4785502 ბრძანებით შეთანხმდა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 10 თებერვლის ჩათვლით. დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, აღნაგობის ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 10 წელი და სახელშეკრულებო ურთიერთობა ამ ეტაპზეც ფიქსირდება საჯარო რეესტრის ამონაწერში. შესაბამისად, მიწის ნაკვეთზე მოქმედებს და მშენებლობა ხორციელდება 10/12/2019 წლის №4785502 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 04/05/2018 წლის № 3947091 ბრძანების ვადის გაგრძელება ვერ მოხდება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.